

ძმები გრიმები

“ბრემენელი მუსიკოსები”

ინსცენირება დალი თედორაძის

მოქმედნი პირნი

1. მისი აღმატებულება – ჩერჩეტი მეფე
2. მშვენიერი პრინცესა
3. მასხარა ჯამბაზი
4. მხიარული ყმაწვილი
5. კატა
6. ძაღლი
7. ვირი
8. მამალი
9. ყაჩაღთა ატამანი
10. I – ყაჩაღი
11. II – ყაჩაღი
12. III – ყაჩაღი
13. გენიალური მადებარი
14. დამეფო დაცვის უფროსი
15. პატარა, შტერი მცველი
16. ფრეილინა
17. ძანები

სცენის სიღრმიდან ავანსცენისაკენ მოემართება ჯამბაზი.

ჯამბაზი – ვიწყებთ წარმოდგენას. ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ. ხუმარა! გთხოვთ, ტუში! თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ რა სანახაობის მოწმენი გახდებით! მე მეფის ხუმარა ვარ და ხუმრობის მეფე. იმას რასაც თქვენ დღეს იხილავთ ბევრი იქნება სამხიარულო. მხიარული, ახალგაზრდა ტრუბადური და მისი მეგობრები; იქნება მშვენიერება – მშვენიერი პრინცესა; იქნება საშინელებაც – საშინელი ტყის ყაჩაღები. იქნება

გენიალური – გენიალური მაძებარი, მაგრამ ბევრი სისულელე – ჩერჩეტი მეფე და მისი ამაღლა.

/დარბაზში გიტარით ხელში სიმღერით შემოდის ტრუბადური?

ჯამბაზი – მოდით ნუ გავესწრებთ და მივყვეთ მოვლენების თანმიმდევრობას. მე კი თავს აღარ შეგაწყენთ.

/გადის სცენიდან?

/დარბაზიდან სცენაზე ადის ტრუბადური. სცენის სიღრმეში „მესამე პლანზე“ ძინავს ვირს.

ტრუბადური შეამჩნევს, თავს წაადგება გააღვიძებს/

ტრუბადური – /ირონიულად/ – დილა მშვიდობისა ტყის ბინადარო.

ვირი – /იღვიძებს/ – გაგიმარჯოს.

ტრუბადური – შენ მართლა ვირი ხარ თუ მეჩვენება?

ვირი – ეჰ! ნუ მკითხავ, თუ კაცი ხარ.

ტრუბადური – ერთი მითხარი, ტყეში როგორ მოხვდი? გზა თუ აგებნა, მე გასწავლი როგორ გახვიდე აქედან და პატრონი იპოვნო.

ვირი – არა, გმადლობთ. აქ მოსასვლელი და აქედან გასასვლელი გზაც კარგად ვიცი. რაც შეეხება ბატონ-პატრონს ის მე აღარ მყავს. გამომავლო იმ რჯულ-ძაღლმა. არა და მთელი ახალგაზრდობა, ძალ-ღონე მას და მის წისკვილს შევადიე. ვათრევდი ფქვილით სავსე ტომრებს, ვემსახურებოდი, როგორც შემეძლო, იმაზე მეტად. ახლა, როცა დაებერდი და სიმძიმის თრევა აღარ შემეძლია გამომავლო იმ უღმერთომ „პურს მუქათათ ხომ არ გაჭმევო“... ადგა და გამომავლო. ასეთი უგულობა გამიგონია? ახლა რა ვქნა? რა ვაკეთო? როგორ ვიცხოვრო, რა ვქნა?

ტრუბადური – მდაა, მძიმე სურათია. შევეცდები როგორმე დაგეხმარო.

ვირი – ეჰ! შენ როგორ უნდა დამეხმარო.

ტრუბადური – მოდი აქ! /ხსნის პატარა ტომარას. ამოიღებს მუსიკალურ ინსტრუმენტს/ დაუკარი რაიმე და გულზე მოგეშეება. გიყვარს მუსიკა?

ვირი – მუსიკა კი მიყვარს, მაგრამ ეს მიშველის მე უბედურს? /უკრავს/

ტრუბადური – ყოჩაღ, ვირუკავ. მართლა მშვენივრად უკრავ. მომისმინე ძამიკო! მე მოხეტიალე მსახიობი ტრუბადური ვარ. ახლა ქალაქ ბრემენში მივდივარ. ხომ არ გამიწევ კომპანიონობას?

ვირი – იქ რა უნდა ვაკეთო?

ტრუბადური – როგორ თუ რა. დავდგებით ქუჩაში, ვიმღერებთ სიმღერებს. პურისა და ერთი ფუთა თივის ფულს ყოველთვის ვიმოვი. აბა, ნუ ჩამოუშვი ცხვირი. ჰა, რას იტყვი?

ვირი – თუ ეგრეა, თანახმა ვარ.

ტრუბადური – მაშ, გაუვლავთ გზას. მომყევი, ოღონდ სიმღერით. /მღერია. პანტომიმური მოძრაობით ქმნიან სიარულის ასოციაციას. ისმის სროლის ხმა. ძაღლის ყმუილი ახშობს სიმღერის ხმას. სცენაზე წკმეტუნით შემორბის გაქუცული ძაღლი. ფეხი აქვს ნაღრძობი.

ძალდი – აუ, ... უ... უ... უ - აუ, /თათს ილოკავს/ ა-რ-ა-ფ-ერია. მე შენ გინვენებ სეირს, გადაგიხდი სამაგიეროს. დაგიფრთხობ ამ ქვეყანაზე, რაც თუ ფრინველია. შენს თოფს მიწაში ჩაგმარხავ. /აგრძელებს წკმუტუნს, ყმუილს/.

ტრუბადური – /მიუახლოვდება. აწვდის მრავალძარღვას/. აი, დაიდე თათზე.

ძალდი – /გაკვირვებული შეხედავს. გამოართმევს, თათზე დაიდებს/ გმადლობთ. მგონი მომეშვა.

ვირი – /უახლოვდება/ – ვინ გაგიმეტა ასე?

ძალდი – ვინ? ვინ და ჩემმა ბატონმა, ცნობილმა მონადირემ. მთელი ცხოვრება ვემსახურე. ტყე-ღრე ნადირს დავსდევდი, იხვები წყლიდან ამომყავდა. დღე არ ვისვენებდი და ღამე.

ტრუბადური – მერე? მერე რა მოხდა?

ძალდი – რაღა რა მოხდა. დაგბერდი ძამიკო. ვეღარ დავრბივარ ძველებურად. მუხლმა მიმტყუნა, ყნოსვა დამიჩლუნგდა.

ვირი – გასაგებია!!!

ძალდი – დღეს წამიყვანა სანადიროდ. მივედით ტბასთან, სადაც იხვი ბლომად მოდის გადმოიღო თოფი და იცით რა ქნა? იხვს კი არ ესროლა მე მესროლა იმ უმადურმა. ასე გადაწყვიტა ჩემი მოცილება, მაგრამ დაავიწყდა, რომ ჯიშინი მონადირე ძალდის მოკვლა არც ისე ადვილია. იცით, როგორ ავიცილე გამჭოლი ტყვია? /მოძრაობით აკეთებს/ სხარტი ნახტომი გვერდზე, იკლო-მაკლო-ზიგზაგებით ხეებს შორის. მაგრამ თათში მაინც მომახვედრა იმ წყეულმა. უ... უ... უ... უ. დავბდღენი, დავგლეჯ მაგ უმადურს.

ტრუბადური – ვერ დაბდღენი.

ძალდი – რატომ?

ვირი – იმიტომ, რომ კბილები დაგიბლაგვდა, მუხლში ძალა აღარ გაქვს და რომც შეეცადო, იცოდე ამჯერად ვეღარ გადაურჩები.

ტრუბადური – მართალია. კარგი მონადირე ტყვიას მეორეჯერ არ აგაცდენს.

ძალდი – რაღა აზრი აქვს ჩემს ცხოვრებას. ეგონა მეგობარი მყავდა ის კი თურმე მონად მთვლიდა. აღარც სახლი, აღარც პურის ნატეხი. დამთავრდა ცხოვრება. (ყმუის).

ვირი – ერთი ბედისა ვყოფილვართ ძამიკო.

ძალდი – შეენც?

ვირი – ჰო, მეც...

ტრუბადური – /ძალდს/ -ძალიან მომწონს შენნაირი გაბედულნი და მამაცნი. წამოდი ჩვენთან ერთად ბრემენში.

ძალდი – ბრემენში რა უნდა ვაკეთო?

ვირი – ამბობენ, ბრემენში ძალიან უყვართ მუსიკა. დავდგეთ ქუჩაში და ვიმღეროთ მუსიკის თანხლებით.

ტრუბადური – სიმღერა თუ გიყვარს?

ძალდი – მიყვარს და მერე როგორ. თან დოღზეც შემიძლია დავუკრა. ერთი თათი მომირჩეს?!

ვირი და ტრუბადური ერთად – ო, ო, ეს ძალიან კარგია.

ძაღლი – კი, მაგრამ რა უნდა ვიმღეროთ?

ტრუბადური – გასწავლით ერთ კარგ სამგზავრო სიმღერას. აბა, დავიწყეთ.

/ვირი წამოიწყებს სიმღერას, ტრუბადური აძლევს მეორე ხმას. შემდეგ აყვება ძაღლი.

სამივე სიმღერით და პანტომიმური მოძრაობით ქმნიან სიარულის ასოციაციას.

ძაღლი – მშვენიერი სიმღერაა ძმებო. სასწრაფოდ ჩავიდეთ ბრემენში თივას და ძვალს არავინ დაგვამადლის. /აგრძელებენ „სიარულს“ და სიმღერას. ისმის ქალის წყველა-კრულვა. კატის ჩხავილი. სიმღერა წყდება.

ქალი – რა სიკვდილად მჭირდება. თავებს შენ ვერ იჭერ. დღეში ორი ლიტრა რძე არ გაძღებს... დიდი ხნის უკან უნდა დამეხრჩვე. /ისმის წყლის ჩხრიალი/

ვირი – /ძაღლს/ სწრაფად მეგობარო, იქნებ გადავარჩინოთ ის უბედური არსება. /ძაღლი გადაეშვება „მდინარეში“/ და ამოყავს კატა.

ტრუბადური – ყოჩაღ, ცუგო. კარგი ცურვა გცოდნია. გადარჩა?

ვირი – ცოცხალია?

ძაღლი – ცოცხალია, ოღონდ უგონოდაა.

კატა – /ხელებით თავს იფარავს/ არ მცემოთ, გეხვეწებით, არ დამახრჩოთ. აღარ დავლევ რძეს, არაფერს მოვიპარავ, არ ჩამაგდოთ მდინარეში.

ვირი – ბოდავს ეს საცოდავი. ნუ გეშინია, არაფერს დავიშავებთ.

ძაღლი – აჰა! ესეც ჩემი ბედისა ყოფილა.

კატა – /გონს მოდის/ ვინა ხართ?

ვირი – მე ვირი ვარ, ეს კი ძაღლია.

კატა – /შეშინებული/ – ძაღლი? ხომ არ მიკბენს?

ტრუბადური – როგორ გეკადრება. სიკვდილს სწორედ ძაღლმა გადაგარჩინა, რომ იხრჩობოდი.

კატა – ძაღლმა?

ვირი – ჰო, ძაღლმა.

კატა – ვინ იფიქრებდა, რომ მე კატას სიკვდილისაგან ძაღლი მიხსნიდა, ხოლო საყვარელი დიასახლისი სასიკვდილოდ გამიმეტებდა. მეგობრებო, თქვენ ისეთი რამ გამიკეთეთ, მთელი ცხოვრება ვერ გადავიხდი. თუმცა, რა შემთხვევაში მე, უვარგის კატას.

ტრუბადური – ერთი ეს მითხარი ქალბატონო, გიტარაზე თუ შეგიძლია დაკვრა?

კატა – გიტარაზე არა. ვიოლინოზე ვუკრავ. ვმღერი კიდევ რომანსებს, ღამის სერენადებს...

ძაღლი – მშვენიერია. თქვენ შეგიძლიათ დაგვეხმაროთ!

კატა – როგორ?

ტრუბადური – ჩვენ მივემგზავრებით ბრემენს წამოგვეყვებით?

კატა – იქ რა უნდა ვაკეთო?

ვირი – ქუჩის მუსიკოსები ვიქნებით.

კატა – თანახმა ვარ. ეს ხომ ჩემი ოცნება იყო მუსიკოსი გავმხდარიყავი.

ვირი – აი, შენ ვიოლინო. ახლა კი ვირეპეტიციოთ.

ძალდი – ჩვენ უნდა გავხდეთ საუკეთესო მუსიკოსები ბრემენში.

ვირი – და არა მარტო ბრემენში.

/იწყებენ „სამგზავრო სიმღერას“. ტრუბადური, ვირი, ძალდი და შემდეგ კატა. ოთხ სმაში. პანტომიმური მოძრაობით გადიან/.

/შემოდის მამალი/

მამალი – /სასოწარკვეთილი/. მშვიდობით მზეო. უკანასკნელად გამათბე შენი სხივებით. ყოველ დილით ვაღვიძებდი ყველას და შენც ჩემს ყვივლთან ერთად ამოდდი ცის კამარაზე. ხვალ კი ჩემი სიმღერის გარეშე ამოხვალ. ვეღარასოდეს გაიგონებ ჩემ სმას, ვეღარასოდეს.

/სიმღერით შემოდიან ბრემენელები/

ვირი – რად მოგიწყენია მამალო?

მამალი – მეკითხები კიდევ. რად? რად და ხვალ დილით, რომ დამკლავენ და ბულიონის წვენად მაქცევენ...

ძალდი – ბულიონის?

მამალი – ჰო, ბულიონის.

ტრუბადური – მერე რაღას უდგეხარ?

კატა – შენ ხომ ფრთები გაქვს. გაფრინდი.

მამალი – ეჰ! შინაური ფრინველები ვერ ფრენენ.

ძალდი – ფეხები ხომ გაქვს, გაიქეცი.

მამალი – /დამწუხრებული/ – ამ ფეხებით? ამ ფეხებით შორს ვერ გავიქცევი.

ვირი – იცი რას გეტყვი? შემომასკუპდი ზურგზე და წაგიყვან შორს, ძალიან შორს.

მამალი – სად?

კატა – ჩვენ ბრემენში მივემგზავრებით. იქ ქუჩის მუსიკოსობას ვაპირებთ, წამოდი ჩვენთან ერთად.

ძალდი – წამოდი, არ ინანებ.

მამალი – /თავისთვის/ სჯობს აქაურობას გავეცალო, ამათ გავყვე, სანამ ბულიონად ან ჩახოსხილად არ მაქციეს. თანახმა ვარ. მოვდივარ! /დაიყვივლებს/ მე, ისევ ვიხილავ მზეო.

/ხუთივე მღერის „სამგზავრო სიმღერას“ და პანტომიმური მოძრაობით კომპოზიციურად ქმნიან „ეტლს“. ვირი გამწევი ძალაა. მამალი ვირზეა შემოსკუპული. სიმღერით გადიან სცენიდან/

## სურათი II

სცენა წარმოადგენს სამეფო კარის შიდა ეზოს. სცენაზე დგას ჯამბაზი, რომელიც ანთებს ღამის ნათურებს. მიდის ავანსცენისკენ.

ჯამბაზი – ხომ არ მოიწყინეთ? ჯერ სადა ხართ, ამბავი ახლა იწყება. ამბავი ჩერჩეტი მეფისა და მისი ამაღლისა. აი, ისიც.

/გასასვლელის მარცხენა მხრიდან ბალიშით ხელში, ღამის პერანგში გამოწყობილი, თავზე გვირგვინით გამოდის მეფე. მოქნარებით/

მეფე – ვინ არის მანდ?

ჯამბაზი – მე ვარ, თქვენო აღმატებულება.

მეფე – აა, ხუმარავ, შენა ხარ? სად არის ჩემი ქალიშვილი. მთელი სასახლე გადავატრიალე და ვერსად ვიპოვე.

ჯამბაზი – თქვენი ერთადერთი მემკვიდრე არ გაქრება უგზო-უკვლოდ და მაშასადამე...

მეფე – ხუმარავ, მე არ მეხუმრება!

ჯამბაზი – მოხდა რაიმე ხელმწიფე?

მეფე – შენს აღმატებულებას, ანუ მე, ცუდი სიზმარი დამესიზმრა. თითქოს ჩემმა მშვენიერმა პრინცესამ ვიღაც მაწანწალა შეიყვარა. ასეთი უმსგავსობა თუ გაგიგონია? მაწანწალა, მუსიკოსი თუ აკრობატი, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ერთი სიტყვით მაინც მაწანწალაა... ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს!

ჯამბაზი – სიზმარში თუ შეიყვარა ეს არაფერია მეფე. აი...

მეფე – /აწყვეტინებს/ – სამეფოს უფროსმა მკურნალმა მირჩია ნერვებს გაუფრთხილდი, სულიერად არ მოიშალო. ასე, რომ ხუმარავ, ახლავე გაამხიარულე შენი მეფე.

ჯამბაზი – /ცივი გამომეტყველებით/ კურდღელო, აბა, დამაცადე...

მეფე – /იცინის, იჭაჭება/ ყოჩაღ, ხუმარავ, რა ენა მოსწრებული ხარ. /ხარხარით გადის სცენიდან/

სცენაზე შემორბის მშვენიერი პრინცესა.

პრინცესა – ეს შენა ხარ ხუმარა?

ჯამბაზი – მე ვარ, ხუმრობის გარეშე.

პრინცესა – ჩემო კეთილო ჯამბაზო, ისეთი შეშფოთებული ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ, არ ვიცი რა მემართება, რა მჭირს.

ჯამბაზი – მე ვიცი რაც გჭირს. ახლავე სასახლეში გაიქეცი, მოირთე, მოიკაზმე, ღამაში ვარცხნილობა გაიკეთე და გაეშურე ცენტრალურ მოედანზე.

პრინცესა – არაფერი მესმის, შენ რა მეხუმრები?

ჯამბაზი – არა, აბა ვინქართოთ თქვენო აღმატებულება. /გადიან/ შორიდან ისმის მელოდია „სამგზავრო სიმღერა“. სცენის სიღრმეში მოჩანს მოხეტიალე მუსიკოსები. ტრუბადური თავისი არტისტებით. ძაღლი, კატა, მამალი, ვირი გამწვევი ძალა შებმულია ეგრეთ წოდებულ „ეტლში“. პანტომიმური მოძრაობით არტ-ხუთეული მიემართება ავანსცენისკენ სიმღერით.

სცენა განათებულია. „ეტლი“ სცენის შუაგულშია. არტ-ხუთეული „ეტლს“ გადააქცევენ საესტრადო ... .. სასახლის მოედანზე გამოჩნდება მაყურებელი. მობრძანდება მეფე თავისი ამალით. არტ-ხუთეული ქედს იხრის მეფისა და მაყურებლის წინაშე.

მამალი – ყიყ-ლი-ყოთ!

ვირი – ია, ია, ია, ია.

ძაღლი – ამ, ამ, ამ, ამ.

კატა – მიაუ, მიაუ, მიაუ, მიაუ

ოთხივე ერთად – თქვენს წინაშეა ცნობილი ტრუბადური? ტრუბადური წარუდგება  
მაყურებელს/

ტრუბადური – და არა ნაკლებ ცნობილი ძაღოსანი /ვირი თავის დაკვრით ესაღმება  
მაყურებელს/ ფოკუსნიკი /კატა თავს უკრავს მაყურებელს/ ჟონგლიორი/ მამალი თავს  
უკრავს მაყურებელს/

იწყება წარმოდგენა.

/ვირი, ძაღლი, კატა, მამალი ცეკვავენ. „მხიარული ექსცენტრიული ცეკვა“/

ტრუბადური – ახლა კი ნახეთ თითოეულის ხელოვნება. /ვირი, კატა, ძაღლი და მამალი  
აჩვენებენ თავიანთ საცირკო, ჟონგლიორულ ხელოვნებას მუსიკის თანხლებით/

მამალი – ყურადღება, ყურადღება!

ვირი – თქვენო უმაღლესობავ!

კატა – ბატონებო და ქალბატონებო!

ძაღლი – მეგობრებო.

/ამ დროს სცენაზე გამოჩნდება პრინცესა ჯამბაზთან ერთად/

მამალი – ჩვენი პროგრამის ფინალური ნომერი

ვირი – არნახული სანახაობა.

კატა – უკანასკნელად ამ სეზონში, მხოლოდ თქვენთვის!

ძაღლი – ხუთი, ოთხი, სამი, ორი, ერთი. ოპ!!!

/ბარაბნის ხმაზე „არტისტები“ სცენაზე გამოაგორებენ „კასრს“ გასროლის ხმაზე  
მოულოდნელად „კასრიდან გამოვარდება ტრუბადური. ყველას ეს აღმება ჟესტი.

მეფე – აპარტე, სადღაც მინახავს ეს მაწანწალა არტისტი.

პრინცესა – აპარტე, ეს ის არის!

ჯამბაზი – ნუთუ, ის არის?

ტრუბადური – ახლა რასაც იხილავთ, გულწრფელია, მოტყუების გარეშე. ამაში, რომ  
დარწმუნდეთ, გთხოვთ რომელიმე თქვენგანს მოვიდეს ჩემთან. /პაუზა/ გელოდებით,  
თამამად. პრინცესა მიემართება ტრუბადურისკენ. სცენის შუაგულში შეხვედებიან  
ერთმანეთს, გაჩერდებიან. თვალებში ჩასცქერიან ერთმანეთს. შუქი ნელ-ნელა გადის,  
ქრება. პროექტორის შუქზე მოჩანს ორი ფიგურა: პრინცესა და ტრუბადური. ისმის  
ღირიული მელოდია. ტრუბადური და პრინცესა ცეკვავენ. ცეკვის დასასრულს პრინცესა  
ტრუბადურს ჩაეკონება. სიბნელეში ისმის მეფის ხმა.

მეფე – ხუმარა, ეს სიზმარია თუ რეალობა, ახლავე მიჩქმიტე!

ჯამბაზი – დიდი სიამოვნებით! /უნქმეტს/

მეფე – ვაი, ვაი. ტუტუცო.

/წყდება მელოდია და ნათდება სცენა. ტრუბადური და პრინცესა გამოფხიზდებიან, სცილდებიან ერთმანეთს.

ტრუბადური – /დაბნეული/ ახლა მე, მე გიჩვენებთ...

მეფე – ნურას უკაცრავად! ახლა მე გიჩვენებთ თქვენ... ჰეი, დაცვა. ახლავე გაყარეთ აქედან ეს მაწანწალა თავისი შინაური ცხოველებით!

ჯამბაზი – თქვენო აღმატებულება, მომისმინეთ რა უნდა გითხრათ /ცდილობს გაამხიარულოს/ აბა, დამაცა კურდღელო!

მეფე – მე შენ დაგაცლი, მართლა კურდღელო. სეფექალებო ახლავე გაიყვანეთ პრინცესა. ეს ცხონებულ დედამისს ენახა სირცხვილისაგან გული გაუსკდებოდა. დაცვა! არტისტებსა და დაცვას შორის იმართება ხელჩართული ბრძოლა. კარგად მიტყეპავენ ტრუბადურსა და მის მეგობრებს. გააგდებენ სცენიდან. სეფე ქალებს ძალით გაჰყავთ ატირებული პრინცესა.

მეფე – ამ ბოლო დროს ცუდი სიზმრები დამჩემდა. ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი?!

ჯამბაზი – ნიშანი არ მომწონს მეფეო, ნიშანი. თქვენ არ იღელვოთ, ყველაფერი მოწესრიგდება. /გადიან/

### სურათი – III

(ჩაბნელებულ სცენაზე შედის შუქი „მოვარის ასოციაცია“. ისმის „სამგზავრო“ სიმღერა. სცენის სიღრმიდან ავანსცენისკენ მიემართება არტ-ხუთეული. ნაცემ-ნაგვემი მღერიან.)

ვირი – ტყე-ტყე ვიარე? – ვიარე. გზა ამებნა? – ამებნა. მორჩა მეტი აღარ შემიძლია.

კატა – არა და არ გვიმართლებს. რა თარსი დღეა.

ძალღი – დღე კი არა ღამეა უკვე. თუმცა შენთვის მნიშვნელობა არა აქვს, ღამითაც კარგად ხედავ.

კატა – მე კარგად იმას ვხედავ, რომ ტყეში გზა აგვებნა.

მამალი – კარგი რა?!...

ტრუბადური – ო, ოჰ!

ვირი – /ტრუბადურს/ რა, მოგშივდა?

ძალღი – გაიყინე?

კატა – გეძინება?

მამალი – ნეტავ კოცონთან გამათბო, გამაძლო და დამაძინა...

ტრუბადური – ეჰ! ნეტავი შენ. რა დამაძინებს. ვერ დავივიწყე მშვენიერი პრინცესა.

ყოველ წუთში თვალწინ მიდგას...

/ტრუბადურის წარმოსახვა: სცენის სიღრმეში გამოჩნდება პრინცესა, იმავე ჩაცმულობით. მღერის. ტრუბადური აყვება სიმღერას. ტრუბადური თვალებს ახელს. პრინცესა ქრება/

ტრუბადური – და მიდგეს თვალწინ და მეჩვენება, რომ მესმის მისი სიმღერა. თქვენ გესმით, ხედავთ?

ყველა ერთად – ოჰ!...

მამალი – ვხედავ, ვხედავ!..

ტრუბადური – მეფის ასულს?

მამალი – არა

კატა – ძროხას?

ვირი – თივას?

მამალი – თივას არა. კოცონს ვხედავ, კოცონს!

ყველა ერთად – ვაშაა, გადავრჩით!

/არტ-ხუთეული შესკუპდება „ეტლზე“ და გადიან სცენიდან/

/ღამეა. მთვარე ანათებს, ტყის პირას კოცონი ბჟუტავს. გამოდიან „ხეებიდან“ ბრემენელები.

მიუსხდებიან კოცონს. ტრუბადური აწყობს გიტარას/

კატა – ყოჩაღ მამალო. რა მხედველობა გქონია... /სულს უბერავენ ჩანავლებულ ცეცხლს. კოცონი ააღდება. შენიშნავენ კარავს/

ვირი – შეხედეთ! კარავი.

კატა – საინტერესოა ვინ უნდა იყოს ამ უღრან ტყეში?!

ძაღლი – ალბათ მონადირეა.

კატა – საიდან მოიტანე?

ძაღლი – მონადირის სუნს სამ ვერსზე ვგრძნობ. ტყუილად ხომ არ ვარ მონადირის ძაღლი? აი, გუშინდელ დღესავით მახსოვს წავედით ერთ დღეს მე და ჩემი პატრონი ტბაზე, იხვებზე სანადიროდ. მე, როგორც ყოველთვის წინ მივრბივარ და აი, ამ დროსაც...

კატა – ისევ დაიწყო მონადირის ზღაპრები.

ძაღლი – არ მოგებზრდა ამდენი ტყუილ-ტრაბახი?

ვირი – კარგია თუ მონადირეა, მთავარია მეწისქვილე არ იყოს.

კატა – რა უნდა ამ შუალამეში მეწისქვილეს, ისიც ტყეში?

ვირი –რა ვიცი. მეწისქვილესთან ვმუშაობდი, ვმუშაობდი. მძიმე ტომრებს ვატრევიდი-ვატრევიდი. გამოვიქეცი. მეწისქვილე მეძებს-მეძებს.

კატა – რა ბოდვები აგიტყდათ. მონადირეო, მეწისქვილეო. თქვენ ისე ხართ მელას, რაც ესიზმრებოდა ის ელანდებოდაო. /იცინიან/

მამალი – მარჩიელობას სჯობს მივიდე და ვნახო. /მიემართება კარავისკენ ჯერ გაბედულად, შემდეგ შედგება და ქვავდება/ – ვაი, თუ მონადირე არ დამხვდა?

ტრუბადური – მაშ, ვინ უნდა იყოს?

მამალი – შეიძლება ყაჩაღებია.

ყველა ერთად – ყაჩაღები?!...

/ისმის „მრავალხმიანი ხვრინვა“. ბრემენელები შეამჩნევენ ხის ქვეშ მძინარე ტყის ყაჩაღებს/

მამალი – ახლა კი ნამდვილად დავიღუპეთ.

/კარავიდან ისმის მალვიძარას ხმა/

ტრუბადური – გასაგებია... აბა, მომიხლოვდით. ამათთვის ერთი ოინი მოვიფიქრე. მომყევით!  
/სასწრაფოდ ტოვებენ სცენას. არავიდან გამოდის ატამანშა. ხელში მალვიძარა უჭირავს. მალვიძარა რეკავს. ატამანშა თავს დაადგება ყაჩაღებს.

ატამანშა –/ყვირის/ გაიღვიძეთ ყაჩაღებო, მკვლელებო. რა ხანია მთვარე ამოვიდა/ყაჩაღები ხვრინვით პასუხობენ /ატამანშა პირველ ყაჩაღთან დაიხრება. ყურში ჩაჰყვირის – ბავშვებო! სკოლაში გაგვიანდებათ. /ისევ „მრავალხმიანი ხვრინვა“. ამოიღებს დამბაჩას და ყაჩაღთა თავებთან ახლოს ისვრის.. ყაჩაღები ერთად ასწევენ ხელებს, მაგრამ ხვრინვას განაგრძობენ/ – არ გინდათ და ნუ გინდათ, იფ, იფ, იფ-რა კერძებია. მარტო მივირთმევე. /ხვრინვა წყდება/ – ასეა ძმებო, ყაჩაღებო. თქვენ მარტო ჭამასა და ძილზე ფიქრობთ. საქმეს ვინ გააკეთებს? მე რომ არ გყავდეთ.

პირველი ყაჩაღი – ერთი შენი სიტყვა და საქმე..

ატამანშა – ნაჯჯახები, დანები გალესილი გაქვთ?

ყაჩაღები ერთად – გალესილი გვაქვს.

ატამანშა – მაშ, ყურადღებით მომისმინეთ. /მღერის, იმის შესახებ, რომ თავს დაესხას მეფეს და მის ამაღას. ყაჩაღებიც მღერიან და ცეკვავენ. ამ დროს ტყვიდან გამოგორდება უზარმაზარი „კასრი“. გაკვირვებულები წყვეტენ ცეკვა-სიმღერას და უახლოვდებიან კასრს.

I ყაჩაღი – აი, ლუდიც გექონია.

II ყაჩაღი – ჩვენი სიცოცხლის ელექსირი

III ყაჩაღი – გმადლობთ, ატამანშა პატივისცემისთვის.

ატამანშა – (თავისთვის) თითქოს ციდან ჩამოვარდა.

I ყაჩაღი – რას ელოდებით, მოდით გავხსნათ.

/ამ დროს ისხნება „კასრის“ სახურავი, ამოდის საშინელი „დრაკონი“, რომელიც ცეცხლს აფრქვევს. ყაჩაღები შიშისგან შეშდებიან. „დრაკონი“ ამოძვრება კასრიდან და აღმოჩნდება ათფეხა ურჩხული. ატამანშა არაადამიანური ხმით ყვირის და გარბის. ყაჩარებიც უკან მისდევენ ყვირილით.

ყაჩაღები – გვიშველეთ, მწვანე ურჩხული, მწვანე ურჩხული.

/დრაკონი სცენას დაარტყამს წრეს და ავანსცენაზე ჩერდება.

დრაკონი ანუ მამალი – კარგია ის, კარგია ის, რაც კარგად

ერთად – მთავრდება.

/დრაკონი ჩამოიცილებს მწვანე ქსოვილს და გამოჩნდებიან ბრემენელები. სიცილ-ხარხარით მოაგროვებენ ყაჩაღების ტანსაცმელებს, თოფ-იარაღს გამოეწყოებიან და ერთმანეთს უქებენ ჩაცმულობას.

ტრუბადური – მეგობრებო, თქვენ უნდა დამეხმაროთ, რომ ისევ შევძლო მშვენიერი პრინცესას ხილვა.

კატა – იცი რაა... შენი გულისთვის ყველაფერზე წავალთ, გვითხარი რა გინდა, როგორ მოვიქცეთ.

ტრუბადური – ხვალ აქ გაივლის ჩერჩეტი მეფე თავის ამალით. ჩვენ მათ თავი უნდა მოვანვენოთ ყაჩაღებად. მოლით ახლოს /ყველანი უახლოვდებიან და ჩურჩულით თათბირობენ/

ერთად – ვაშაა, რა კარგად მოგიფიქრებია!

ტრუბადური – ახლა კი ვივასშმით და დავიძინოთ. ხვალ მძიმე დღე გველის. /გადიან/.

#### სურათი IV

/ავანსცენაზე გამოჩნდება მეფე, თავისი დაცვით. მეფე „პორტშეზშია“, რომელიც უძიროა და მეფე თავისით გადაადგილდება. გვერდით მოყვება ჯამბაზი. დაცვა უკან მოყვება სიმღერით.

მეფე – შეჩერდით! შევისვენოთ!

ჯამბაზი – შევისვენოთ. (მიუჯდება მეფეს)

მეფე – ხუმარავ!

ხუმარა – გისმენთ მეფეო.

მეფე – იცი რა მესიზმრა?! თითქოს ვზივარ ტყის განაპირას და მესმის ვიღაც სტვენს...

ჯამბაზი – ყურთან?

მეფე – არა, რა ყურთან. აი, ასე... (აპირებს თითების მიტანას ტუჩთან და ამ დროს გაისმის ფსტვენის ხმა სცენის სხვადასხვა მხრიდან.

მეფე – გესმის? ნეტავ ეს რას ნიშნავს?

ჯამბაზი – აი, ეს არ მომწონს.

/სტვენის ხმა მეორდება. ჯამბაზი გარბის და იმალება ხეებს შორის. ბუჩქებიდან გამოძვრებიან ბრემენელები, გადაცმული ყაჩაღების ფორმაში. ვირი, კატა, ძაღლი და მამალი. მღერიან „ყაჩაღთა სიმღერას. მეფის დაცვა გარბის სცენიდან. მეფეც დააპირებს გაქცევას, მაგრამ ჯამბაზი თითქოს შემთხვევით მოხვდება და შეაჩერებს. ბრემენელი „ყაჩაღები“ მეფეს მიაკრავენ „პორტშეზზე“. სცენა მიმდინარეობს სიმღერის ფონზე/

მეფე – ახლავე გამიშვით! მე თქვენი მეფე ვარ!

ვირი – ჩვენ მეფე არ გვყავს.

ძაღლი – ჩვენი თავის მეფეები ჩვენ ვართ.

მეფე – მე, თქვენი უმაღლესობა...

კატა – ვისი უმაღლესობა? /იხედება აქეთ-იქეთ/

მამალი – უმაღლესობა უნდა იყოს დიდი, შენ კი რას გავხარ, მოწრიპული.

მეფე – მე მოწრიპული /გაოცებით/

ძაღლი – მოწრიპული, მაგრამ ჩასუქებული.

მეფე – /შეშფოთებული/ – მითხარით რას მიპირებთ?

ვირი – ახლავე გადავწყვეტ. /ერთად მოგროვდებიან და რაღაცას ბჭობენ.

მეფე – /ჩუმათ/ – მიშველეთ!

ჯამბაზი /გამოყოფს თავს/ თქვენო უმაღლესობაჲ, გამაგრდით! ჩვენი ტყვეობა მალე დამთავრდება. გესმით?

მეფე – /ყვირის/ – მიშველეთ, დამეხმარეთ, მოკლას მიპირებენ. მე მეფე ვარ. /სცენაზე შემოვარდება ტრუბადური/

ტრუბადური – რაო? მეფეს მოკვლას უპირებენ? ეს რა თავხედობაა, აბა, გაბედონ. ჰყი, ყაჩაღებო! თუ ლაჩრები არა ხართ შემებრძოლეთ. /დაშნას ამოიღებს და „დაერევა“ „ყაჩაღებს“.

ჯამბაზი – რა მამაცი ყმაწვილია. /გამოძვრება ხეებიდან. ათავისუფლებს მეფეს „ყაჩაღები“ გარს შემოეხვევიან ტრუბადურს. ბრძოლა გრძელდება.

მეფე – უფრო გაბედულად ყმაწვილო. მე შენ გაგამდიდრებ.

ტრუბადური /განაგრძობს ბრძოლას/ - მე არ მინდა სიმდიდრე.

მეფე – ნახევარ სამეფოს გაჩუქებ.

ტრუბადური – არ მჭირდება თქვენი სამეფო.

ჯამბაზი – მეფეო, შეხედეთ რა პრინციპულია, ეტყობა პრინციპსაზეა შეყვარებული. თქვენც შეპირდით ბრწყინვალე ასულზე ქორწინება და ნახეთ რა დღეს დააყრის ამ არამზადებს.

მეფე – სიტყვას გაძღვეთ, რომ დაგაქორწინებ ჩემს მშვენიერ ასულზე.

ტრუბადური – ვაშაა! ეს მომწონს. /აქეთ-იქით მოისვრის „ყაჩაღებს“. წაართმევს იარაღს. „ყაჩაღები“ გარბიან. მეფე მივარდება ტრუბადურს. გადაეხვევა. სცენაზე შემოვარდებიან: კატა, ძაღლი, ვირი, მამალი.

კატა – ვინ გაბედა მეფის წყენინება. დავბლოტავ!

ძაღლი – დავდრღნი.

მამალი – დავკორტნი

ვირი – ჩავწიხლაჲ

ტრუბადური – მეფეო, გაიცანით, ჩემი მეგობრები არიან.

კატა – კატა, თქვენო ბრწყინვალეობაჲ!

მეფე – მეფე

ძაღლი – ძაღლი, ჩემო ძვირფასო.

მეფე – თქვენი უდიდებულესობა.

მამალი – მამალი

მეფე – მეფე, მეფე

ვირი – ვირი, ჩემო ბატონო

ჯამბაზი – მეფე ცხოველთა სამყაროში

მეფე – ყველას გეპატიუებით, ჩემს სასახლეში.

## სურათი V

მოქმედება მიმდინარეობს მეფის სასახლეში. ავანსცენაზე გამორბიან მეფის დაცვის წევრები.

დაცვის უფროსი – გვიშველეთ, დავიღუპეთ!

შემორბის პრინცესა თავის მხლებლებით.

პრინცესა – რა ხდება?

დაცვის უფროსი – თქვენო უმაღლესობავ, მისი უმაღლესობა ტყვედ ჩავარდა.

მცველი – ხუმარაც მასთანაა.

პრინცესა – ღმერთო ჩემო! ეს როგორ მოხდა?

დაცვის უფროსი – ჩვენ თავს დაგვესხა ას ორმოცდაათამდე ტყის ყაჩაღი.

მცველი – რას ამბობთ! ორასამდე მაინც იქნებოდა

დაცვის უფროსი – მაგას არ ვბრძანებ? ორასი მეთქი. სიმაღლით ხუთი არშინი იქნებოდნენ.

სისხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლეთ... ასჯერ ვეკეთეთ, ვერაფერს გავხდით...

პრინცესა – შეშინდით არა? მხდალებო, გამყიდველებო.

დაცვის უფროსი – როგორ გეკადრებათ! სპეციალურად წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე დავიხიეთ.

პრინცესა – საწყალი მამიკო. უბედური ხუმარა! /ტირის/

მეფე – რატომ ტირის მისი უმაღლესობა?

პრინცესა – ძვირფასო მამიკო! კეთილო ხუმარა! (ჩაეხვევა მეფეს, კოცნის)

ჯამბაზი – მის აღმატებულებას მოუწევს კიდევ ერთი ახალი ნათესავის გაცნობა.

პრინცესა – ვერაფერი გავიგე... შენ ყოველთვის ხუმრობ.

მეფე – შეილო, აი, ამ ყმაწვილმა მისხნა ტყვეობიდან.

პრინცესა – /შეამჩნევს ტრუბადურს. უახლოვდება, ხელს ჩაკიდებს/ გმადლობო!

ტრუბადური – /დაიმორცხვებს/ – პრინცესა...

ჯამბაზი – მეფევ, ისე მექავება ენა, რომ თავს ვერ ვიკავებ... მინდა შეგახსენოთ თქვენი მეფური სიტყვა, ადასრულეთ თქვენი დანაპირები.

მეფე – მე... მე ჰო, დიახაც... რაღაც შევპირდი

დაცვის უფროსი – თქვენო აღმატებულებავ, მომეცით ნება გიპატაკოთ! ჩვენ სპეციალურად დავიხიეთ უკან, წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე, რათა შემდეგ ელვისებურად დაესხმოდით თავს...

მცველი – ჩვენს მოწინააღმდეგეს...

დაცვის უფროსი – სამხედრო ეშმაკობა, როგორც მოგეხსენებათ...

ჯამბაზი – უფრო სწორად, სამხედრო სიმხდალე და უსუსურობა.

დაცვის უფროსი – ამ ვაჟბატონმა, თავისი ქცევით ჩაშალა ჩვენი სტრატეგიული გეგმა.

მეფე – ჰოო?! /გახარებული/ ეს უკვე ცვლის საქმის ვითარებას. /ტრუბადურს/ გესმით ახალგაზრდავ? თქვენ, რომ არა, მე მაინც გადამარჩენდა ჩემი პირადი დაცვა. /დაცვას/ ყოჩაღ, ბიჭებო!

მცველები ერთად – გაუმარჯოს მეფეს, დიდება მეფეს. მის სამართალს!!!

მეფე – ასე, რომ აქ მოხდა პატარა კორდენალიანსი, ე.ი. გაუგებრობა... მე რა თქმა უნდა ვუბრძანებ, თქვენ ყველანი დაგაპურონ სამეფო დონეზე ... და საერთოდ...

ტრუბადური – თქვენი პატიოსანი სიტყვა? თქვენ ხომ ხართ სიტყვის პატრონი?

მეფე – დიას, პატრონი. მე მოგეცი სიტყვა და ახლა ვიბრუნებ უკან.

ჯამბაზი – აი, თქვენ მეფის პატიოსანი სიტყვა... უბრალოდ სიტყვები არ მყოფნის.

პრინცესა – /ამაყად/ მამაცო ყმაწვილო! მე გეპატიუებით სასახლის დარბაზში. მისი აღმატებულება – მეფე, დღეს თქვენს საპატივცემულოდ გამართავს მეჯლისს!

მეფე – მაგრამ შეილიკო...

პრინცესა – /ფეხებს აბაკუნებს/ მა-მი-კო!

მეფე – ჰო, კარგი, როგორც გენებოს. /ხმამაღლა იზმორება/

ჯამბაზი – /მეფეს/ – უცხვირპირო პირუტყვი.

მეფე – რა?

ჯამბაზი – არც არაფერი

მეფე – წავალ და ცოტას წავიძინებ. დღეს მძიმე დღე მქონდა. /გადის/

პრინცესა – ჩემო კეთილო ხუმარა...

ჯამბაზი – ყველაფერი გავიგე მშვენიერო პრინცესა. თქვენი მშურს ყმაწვილო, დღევანდელი მეჯლისი განუმეორებელი იქნება. დამიჯერეთ. /გადიან/

## სურათი VI

მეფის სასახლის მოედანი. პირველ პლანზე დგას მეფის დაცვის უფროსი. მას უახლოვდებიან: კატა, ძაღლი, ვირი, მამალი. საზეიმოდ გამოწყობილნი. საჩუქრებით ხელში. ისმის მუსიკა. სცენის სიღრმეში მოჩანს მოცეკვავეთა სილუეტები.

მამალი – ამბობენ, მეჯლისის შემდეგ დიდებული ვახშამი გაიმართებაო.

ძაღლი – ღმერთმა გისმინოს! ეჰ, მომწყინდა ძაღლური ცხოვრება.

ვირი – სამთავრობო მაგიდასთან დაგვსვამენ. მეწისქვილე ვინ მიგდია. ბოლოს და ბოლოს მეფის მოყვარე ვარ. მზახალი.

ძაღლი – თუ ძმა ხარ, ნუ ბოდილებ სისულელეს. ჩუმად ილაპარაკე, თორემ გაგვამზახლებენ.

კატა – /დაცვის უფროსს/ – სადამო მშვიდობისა!

დაცვის უფროსი – აცხა აქედან!

კატა – აცხ შენს კატებს შეძახე. უყურე ამ თავხედს რა მაკადრა?

ვირი – დამშვიდდი. /დაცვის უფროსს/ ნება მიბოძეთ სასახლეში შევიდე.

დაცვის უფროსი – საშვი მანვენეთ!

ვირი – რა საშვი. ტრუბადურის მეგობრები ვართ.

დაცვის უფროსი – ტრუბადური თუ მებადური არ ვიცი მე. საშვი!

მამალი – იცოდე გიჩივლებ.

დაცვის უფროსი – ვისთან?

ყველანი – მეფესთან.

დაცვის უფროსი – ვის რა ჭირად უნდა მაწანწალა არტისტები.

ვირი – რაო, მაწანწალაო?

დაცვის უფროსი – ახლავე მომშორდით, თორემ რაც ცემა-ტყეპა მიიღეთ ამას წინათ ის მონაგონი იქნება.

კატა – გავეცალოთ. სანამ დროა. /მომშორდებიან/. ეჰ! ძმებო... ეტყობა დავავიწყდით ჩვენს ტრუბადურს. ამოდის სიყვარული მეგობრობაზე მაღლა დგას. ოქროს გალიაში გამოამწყვდიეს თავისუფლების ჩიტი.

ძალი – წავიდეთ. აქ აღარაფერი გვესაქმება.

/სვედიანად იწყებენ „სამგზავრო სიმღერას“. ვირი „შეებმება ეტლს“. პანტომიმური მოძრაობით ტოვებენ სცენას. შემოდის ჯამბაზი.

ჯამბაზი – არ ვიცი რა მოვიფიქრო. მეფეს განზრახული აქვს დააშოროს შეყვარებულები. ვინ უნდა იცოდეს თუ არა მე ხუმარამ, რომ ჩიტი გალიაში ვერ იქნება ბედნიერი, თუნდაც ოქროს იყოს.

დაცვის უფროსი – ხუმარა, შენ ხარ?

ჯამბაზი – მე ვარ. ახალი ამბავი?

დაცვის უფროსი – რა ამბავი?

ჯამბაზი – პირველად და საიდუმლოდ, მეფე აპირებს დაგაჯილდოვოს იმ სამხედრო ეშმაკობისთვის, რომელიც ამას წინათ გამოიჩინე.

დაცვის უფროსი – რა ჯილდოა? შენ ესეც გეცოდინება. ნუ დამიმაღავ.

ჯამბაზი – რას და აპირებს მოგცეს იმდენი ოქროს მონეტა, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაზე.

დაცვის უფროსი – მართლა? აბა, დავთვალო. არაფერი გამომრჩეს. /იწყებს თვლას/ ერთი, ორი, სამი, ოთხი... / თითს ზეცისკენ იშვერს / თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი /გადის/

ჯამბაზი – ჩქარა, ჩქარა. გზა თავისუფალია. გაშალეთ ფრთები და ლაღად გაფრინდით თქვენი ოცნებისაკენ. ნურაფერს შეუშინდებით.

პრინცესა – მაღლობთ, ბედნიერი ვარ ჩემო კეთილ ხუმარავ.

ტრუბადური – არასოდეს დავგივიწყებ თავდადებას.

ჯამბაზი – ზოგიერთები ფიქრობენ სიყვარული მეგობრობაზე მაღლა დგას, მაგრამ ავიწყდებათ, რომ მეგობრობა და სიყვარული განუყრელია და ერთმანეთს ისე ჭირდებიან, როგორც ცას ვარსკვლავები, მზეს სხივები, ზღვას წყალი. მშვიდობით. /პრინცესა და ტრუბადური გამოდიან/

შემოდის დაცვის უფროსი, რომელიც ვარსკვლავების დათვლითაა გართული. ჯამბაზის სიმღერა. მღერის ჯამბაზის ბედზე-უბედობაზე.

დაცვის უფროსი – /აგრძელებს დათვლას/ მილიონ სამასოცდაექვსი ათას ცხრას ცამეტი მგონი ამერია... თავიდან უნდა დავიწყო. ერთი, ორი, სამი /გადის/

შემოდის მეფე ბალიშით ხელში.

მეფე – სად არის ჩემი ხუმარა?

ჯამბაზი – /ხვნიშით/ – აქ ვარ, მეფეო

მეფე – ისევ საშინელი სიზმარი მესიზმრა. თითქოს ჩემი მშვენიერი პრინცესა, ტახტის ერთადერთი მემკვიდრე გაიპარა სასახლიდან, იმ მაწანწალა არტისტთან ერთად.

ჯამბაზი – და მის მეგობრებთან?

მეფე – შენ საიდან იცი?

ჯამბაზი – თქვენგან, აგიხდათ სიზმარი.

მეფე – ეს სიზმარი არ ამიხდება, რადგან დაცვის უფროს ვუბრძანე არავინ შემოუშვას და გაუშვას სასახლიდან. ჰო, მართლა, სად არის დაცვის უფროსი?

დაცვის უფროსი – /შემოდის ისევ ითვლის/ – სამი მილიონი ზუსტად. დასწყევლოს ღმერთმა მოიღრუბლა, ბედი არ გინდა?

მეფე – აქ არავის გაუგლია?

დაცვის უფროსი – /ცისკენ იხედება/ – რაღაც ცუდად ვხედავ...

მეფე – შენ რა დაყრუვდი? /ბალიშს ჩაარტყამს/ დაცვის უფროსი შეამჩნევს მეფეს. გამოფხიზლდება, გარბის, შემორბის მცველი.

მცველი – თქვენო უმაღლესობავ, თქვენო უმაღლესობავ... ახლა სასახლის საძინებლების შემოვლაზე გახლდით. თქვენი ასულის, მშვენიერი პრინცესას საძინებელში ისეთი რამ ვნახე... ისეთი რამ...

მეფე – რა ნახე, ჩერჩეტო?

მცველი – რა ვნახე... რა ვნახე...

მეფე – /ყვირის/ – რა ნახე, აღარ იტყვი!

მცველი – მშვენიერი პრინცესას საწოლში დავინახე...

მეფე – მოიცა! ხუმარა, მე მგონი ვგიჟდები.

ხუმარა – დაწყნარდით მეფეო.

მცველი – პრინცესას საწოლში დავინახე აი, ეს! /აჩვენებს წერილს/

მეფე – მომეცი /აფრიალებს წერილს და აწვდის ხუმარას/ – წაიკითხე, რაღაც თვალს დამიბნელდა.

ჯამბაზი – /კითხულობს/ – მშვიდობით, მაპატიეთ! არ მეძებოთ.

მეფე – შეუძლებელია. /წაართმევს წერილს და თვითონ კითხულობს/ მშვიდობით, მაპატიეთ! არ მეძებოთ! /აცრემლებული/ – მოდით, ყველა აქ მოდით. /შემოდის დაცვა და მოახლენი. მეფე აქუცმაცებს წერილს. თავში იცემს ხელებს. სიმღერა. მეფე და მოახლენი ტირიან პრინცესას გაუჩინარებას.

## II ნაწილი სურათი I

ავანსცენაზე გამოდის ჯამბაზი.

ჯამბაზი – მეფეს უნდა შექვარებულები დააშოროს. პრინცესა სასახლეში დააბრუნოს. ამისთვის მან გენიალური მაძებარი იხმო. სახუმარო საქმე არ გეგონოთ, ამბობენ ისეთი გენიალურია ჯერ არავის იმედი არ გაუცრუებია. მაგ გენიალურ მაძებარს მე დაუუდარაჯდები.

/შემოდის მაძებარი სიმღერით. სიმღერის დასასრულს გამოჩნდება მეფე/

მეფე – გენიალური მეძებარო! თქვენი უმაღლესობა, ანუ მე, გთხოვთ დამიბრუნოთ ჩემი მშვენიერი პრინცესა სასახლეში.

მაძებარი – გასაგებია. განსაკუთრებული ნიშნები!

მეფე – განსაკუთრებული? წმინდა წყლის დედამისია...

მაძებარი – დედამისი?

მეფე – ჩემი ქალიშვილი ცუდ წრეში ჩავარდა...

მაძებარი – ყაჩაღებთან!

მეფე – უარესი. ყაჩაღები ხალხია მაგათთან. პირუტყვებში ჩავარდა.. ერთი კაცია მათ შორის და ისიც მაწანწალა არტისტი.

მაძებარი – ვერ გავიგე.

მეფე – რა არის აქ გაუგებარი. დაეთრევა სოფელ-სოფელ: ვირთან, ძაღლთან, კატასთან და მამალთან და ფოკუსნიკობს. ესაა, კაცი?

მაძებარი – გასაგებია. ვიწყებ ძებნას, მჯერა წარმატების, ვიმედოვნებ გასამრჯელოც დამსახურებული იქნება. შევუდგეთ საქმეს.

/მეფე და ხუმარა გადიან. მეძებარი იცვლის კოსტუმს და გარდაიქმნება „დედაბრად“ გადის/

## სურათი II

მოქმედება გადადის გზაზე. ტყის პირას დგას ეტლი. ეტლი შემკულია ყვავილებით, სხვადასხვა ფერის ბუშტებით. ეტლზე დგას მამალი. დანარჩენები ეტლის გარშემო დგანან.

მამალი – /პრინცესას და ტრუბადურს/ – ვირის, კატისა და ძაღლის სახელით გულითადად გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ. /ხმამაღალი შეძახილები და ტაში/

შემდეგ მხიარული იმპროვიზირებული ცეკვა. სცენაზე შემოდის „დედაბერი“.  
მხიარულება წყდება. შესცქერიან დედაბერს.

„დედაბერი“ – რა კარგად ცეკვავდით ახალგაზრდებო. ვინა ხართ?

ტრუბადური – მოხეტიალე არტისტები ვართ.

„დედაბერი“ – აქ რას აკეთებთ?

მამალი – ქორწილს ვზეიმობთ ბებია.

„დედაბერი“ – ეჰ! ახალგაზრდობავე და ამას ეძახით ქორწილს. აბა, შემომხედეთ.

/ცეკვავს, ექსცენტრიულად ცეკვავს. ცეკვის ფინალში წაიქცევა. მიცვივლებიან დედაბერს./

პრინცესა – რა დაგემართათ ბებია?

ტრუბადური – რითი დაგეხმართ?

„დედაბერი“ – შვილებო, თქვენ ვერაფერს მიშველით. ტყეში მომიძებნეთ მამაპაპური ბალახი, ასფურცელა ქვია. თუ სასწრაფოდ ვერ ნახავთ წასულია ჩემი საქმე.

ტრუბადური – ახლავე გავიქცევით ბებო, შენ ყოჩაღად იყავი. მოიცა, ჯერ ეტლზე დაგსვამ.  
/ხელში აიყვანს დედაბერს და ეტლზე შემოსვამს/

პრინცესა – გაიქვით, გაიქვით, ჩქარა მოძებნეთ ასფურცელა.

„დედაბერი“ – შენ ჩემთან დარჩი გოგონი. არ დამტოვო, მეშინია.

პრინცესა – კი ბებია, თქვენთან ვარ. /ბრემენელები მიდიან/

„დედაბერი“ – მომიახლოვდი შვილო, მომეხმარე მე უბედურს. ეგ თოფრა მომხსენი მხრებიდან,  
მძიმეა.

პრინცესა – ახლავე ბებო. /უახლოვდება ეტლს. ისმის შეკვივლება/

„დედაბერი“ – მეფის სახელით, თქვენ დაპატიმრებული ხართ. /შებორკილ პრინცესას ძალით  
გაიყვანს სცენიდან. ბრემენელები ბრუნდებიან. ხელში თითო შეკვრა ასფურცელა  
უჭირავთ. გაშემდებიან. ისმის ცხენების ფლოქვების ხმა და ყვირილი.

ტრუბადური – ეს პრინცესას ხმაა, გაიტაცეს. სასწრაფოდ დავედვენოთ. /გარბიან/.

### სურათი III

მოქმედება მიმდინარეობს სამეფოს შესასვლელთან. დგას მეფის დაცვა. გამონდებიან  
ბრემენელები.

ტრუბადური – გამოუშვით პრინცესა. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. ჰეი, გესმით?! ჩვენ  
სიკვდილამდე ერთად უნდა ვიყოთ.

დაცვის უფროსი – მაწანწალა, მონახე შენი ტოლი. ჩვენს პრინცესას უცხოელი უფლისწული  
ეძლევა...

მცველი – და ჩინური ფორთოხალი!

დაცვის უფროსი – ფორთოხალი კი არა მანდარინი.

მცველი – ფორთოხალი, მანდარინი. აი, ხილიც ეს არის.

დაცვის უფროსი – ასე, რომ, ყმაწვილო ვერ იხილავ პრინცესას, როგორც საკუთარ ყურებს.

ახლა კი მოუსვი აქედან, თორემ... /ხელებს იკაპიწებს/ დაცვის უფროსი და მცველი გადიან. სცენაზე რჩებიან ბრემენელები.

ვირი – აი, ესეც, შენ!

ძალღი – ჩემო მეგობრებო, ნუ ბრაზობთ, ყველა მდგომარეობიდან არის გამოსავალი.

კატა – თუ არის გამოსავალი, შესასვლელიც უნდა იყოს.

მამალი – მოდით, შემოვუაროთ გალავანს და შევეცადოთ სასახლეში შესვლა /გადიან/.

#### სურათი IV

მოქმედება მიმდინარეობს პრინცესას ოთახში. მეფის ასული ზის კლავესინთან, თაფნაღუნული. ჯამბაზი მის ფეხთანაა წამოწოლილი.

პრინცესა – როგორ მომატყუა იმ საძაგელმა მაძებარმა...

ჯამბაზი – კი, ჩემო საცოდავო გოგონა. დღეს შენ მძიმე დღე გქონდა.

პრინცესა – ნეტა სად არიან ჩემო მეგობრები! ვერ დავივიწყე ჩემი მხიარული ტრუბადური. სულ თვალწინ მიდგას...

/სცენის სიღრმეში ლანდად გამოჩნდება ტრუბადური. პრინცესა მდერის. აყვება ტრუბადურის ლანდი. სიმღერის ბოლოს ქრება. პრინცესა აგრძელებს საუბარს.

პრინცესა – ხო, მიდგას თვალწინ, ცოცხალი, საღ-საღამათი. ნეტა სად არის თითქოს აი, აქვე მესმის მისი ხმა. /გახსნის კლავესინს, უკრავს „სერენადას მელოდიას“. შემოვარდება მეფე. ცალ ხელში უჭირავს გასაღების შეკვრა, მეორეში სინჩა, რომელზეც კვერცხია მოთავსებული. მიდის მეფისა და პრინცესას მუსიკალური დუეტი. პრინცესა მდერის ნაწყენი.

მეფე – მასეა არა? მაშ, ისმინე მეფის ბრძანება. ცოლად გაყვები უცხოელ პრინცს. ის ხვალ აქ იქნება, შენი ბედი გადაწყვეტილია. მორჩა და გათავდა! (გადის)

პრინცესა – /აცრემლებული/–გაიგონე? მირჩევენია მოგკვდეს, ვიდრე უცხოელ პრინცს გაყვე ცოლად! არ ვიცი რა ვქნა?

ჯამბაზი – მე ვიცი რა უნდა გააკეთო, ახლა დაიძინე. ხვალ დილით, როდესაც გაწვევა უცხოელი პრინცი, ყურადღებით დააკვირდი, შეიძლება მისი სახე გეცნოს...

პრინცესა – მე შენ მაკვირვებ, რა ხდება.

ჯამბაზი – გასაკვირი არაფერია. ზღაპარში ასეთები ხდება? /გადიან/

#### სურათი V

სცენაზე სიმღერით გამოდის ატამანშა. (ყაჩაღთა მეორე სიმღერა). შემოყვებიან დამქაშები. ყაჩაღებს მოკიდებული აქვთ ზურგჩანთები, სავსე ნაქურდალ-ნაყაჩაღარით. /სიმღერის შემდეგ/

ატამანშა – არ მომინდომა ამ უბედურმა პრინცმა მეფის ასულთან შეხვედრა? რას ფიქრობდა მე ამივლიდა გვერდს? ვერ მივართვი. ხა, ხა, ხა... /იციინან/

II ყაჩაღი – შეხვედრა მოხდა თბილ გარემოში, შეიძლება ითქვას ცხელ...

III ყაჩაღი – დაგვრჩა უცოლოდ უცხოელი სტუმარი.

I ყაჩაღი – უცოლოდ და უფულოდ.

II ყაჩაღი – იაროს ახლა ცხვირგატეხილმა.

ატამანშა (II ყაჩაღს – ისე რა ღამაში იღეთი ჩაუტარე?)

II ყაჩაღი – უცხოური იღეთი იყო. უცხოელს – უცხოური. აბა, ნაჯახის სროლა ყველამ იცის. (მესამე ყაჩაღს ჩაუტარებს იღეთს. ყაჩაღი ყვირილით ეცემა.)

ატამანშა – აბა ძმებო ყაჩაღებო ნადავლი გავამრავლეთ? გავამრავლეთ. დროა გაყოფაზეც ვიფიქროთ!

II ყაჩაღი – გამრავლება – გაყოფა. აი, ასეთი არითმეტიკა მიყვარს. /ყაჩაღები ხსნიან ტომრებს და იღებენ მდიდრულ ჩასაცმელს, აქსესუარებს. სცენის მიღმა გაისმის მამლის ყივილი.

ატამანშა – მამალმაც იყივლა! მალე მზე ამოვა. აი, რა ძმებო – ყაჩაღებო დავმალეთ ჩვენი ნადავლი, გაყოფაზე ხვალე ვიზრუნოთ.

I ყაჩაღი – კარგი. რა გვეჩქარება. გათენდება და გავიყოთ. ძილი ნებისა. /მალავენ ბუჩქებში. გადიან/. სამალავიდან გამოდის ტრუბადური და ბრემენელები.

ტრუბადური – მე ვიქნები უცხოელი მეფისწული. თქვენ კი ჩემი ამაღა. აი, მზე ამოიწვერა. ვინქართო. /გადიან/

## სურათი VI

მოქმედება ხდება სასახლის მოედანზე. გამოჩნდება „პრინცი“ და მისი „ამალა“ ეგებება მეფე დაცვით. „პრინცი“ და მისი „ამალა“ შემოდის სიმღერით. ესაღმებიან ერთმანეთს.

მეფე – მეფე! /თვალს მოავლებს უცხოელებს გადაწყვეტს, რომ უცხოელი უფლისწული გადაცმული ვირია. გაემართება მისკენ/

კატა – /გზას გადაულობავს/ – მისი უმადლესობა უცხოელი პრინცი გახლავთ...

/მიუთითებს ტრუბადურისკენ. ტრუბადური თავს ხრის.

მეფე – პრინცი... /მიუახლოვდება. წამოიწვევს ფეხის წვერებზე და ხმაურიანად კოცნის/ რა არის ახალი უცხოეთში?

ტრუბადური – /სერიოზულად/–ჩერჩეტიშენ, მეფეშენ.

მეფე – რაო?

კატა – მისმა უმაღლესობამ ბრძანა, რომ უცხოეთში ყველაფერი რიგზეა.

მეფე – იმედია, მოგზაურობა სასიამოვნო იყო.

ტრუბადური – ბრიყვიშენ, ტუტუციშენ, მასხარაიშენ, ლენჩეიშენ, ცელქეიშენ.

კატა – მისმა უმაღლესობამ თქვა, რომ ძალიან მოეწონა თქვენი სამეფო. მშვენიერი გზები, ულრანი ტყეები, მაგრამ ყველზე მეტად თქვენ მოეწონეთ.

ტრუბადური – უთხარეიშენ ჩერჩეტიშენს, რად იგვიანებს პრინცესეიშენ?

კატა – რა სულსწრაფობაა, თქვენო უმაღლესობა. /მეფეს/ პრინცს სურს იხილოს მისი უმაღლესობა მშვენიერი პრინცესა.

მეფე – სეფექალებო! ახლავე თხოვეთ პრინცესას აქ მობრძანდეს. /ათვალიერებს „პრინცის“ ამალას. როგორ ჩამორჩით მოდას, ვირს რა საუცხოო ფეხსაცმელები გაქვთ.

ვირი – ჩლიქეიშენ... ფლოქეიშენ.

მეფე – /ძაღლს/ - რა მშვენიერი ბეწვია.

ძაღლი – ბეწვეიშენ, ბაღეიშენ.

მეფე – /მამალს/ – საოცარი ბურტყელი, რა ოსტატმა შექმნა?

მამალი – /აპირებს პასუხს/

მეფე – გასაგებია! ეი, შენ, ეი, შენ! ვარ თქვენიშენ. არ, ეს მეს მის. /სცენაზე შემოდის პრინცესა მხლებლებით. ჯამბაზი უკან მოსდევს.

მეფე – ჩემი ასული, ტახტის ერთადერთი მემკვიდრე. ნება მომეცით წარმოგიდგინოთ.

ჯამბაზი – წარმოდგენა გრძელდება უმამაცესი! მეფის ასულთა შორის. /პრინცესა/ ნუთუ ვერ იცანით უფლისწული?

პრინცესა – /აკვირდება/ – ააჰ!..

მეფე – თქვენო უმაღლესობავ! ერთი შეხედვით როგორ მოაჯადოვეთ! აჰ, აჰ, რა კარგია...

ჯამბაზი – ეს ერთი შეხედვით...

ტრუბადური – პრინცესეიშენ, თანახმეიშენ ჩემი ცოლეიშენ?

პრინცესა – /ნაზად/ – თანახმეიშენ, ჩემო ძვირფასეიშენ!

მეფე – ეი, შენ, აი, შენ. გამომამტყრეიშენ!.. ჩემი ასული ისეთი მოხერხებულია ყველაფერს ახერხებს.

კატა – მეფეო. ჩვენი ადათ-წესი ასეთია. თუ ახალგაზრდებს მოწონთ და უყვართ ერთმანეთი უმაღლე ვაქორწინებთ.

მეფე – მე მზადა ვარ ქორწილისთვის /შემოკრავს ტაშს/ პრინცესას ახურავენ საქორწინო გვირგვინს (ფატას) – გამოიტანეთ ტახტი!

/დაცვას გამოაქვს მეფის ტახტი/

მეფე – შეილებო! სამეფო ტახტის წინაშე, საზეიმოდ ვაცხადებ! ჩემს ქალიშვილს და უცხოელ პრინცს ცოლ-ქმრად!

მუსიკეიშენ!

/პრინცესა და ტრუბადური კოცნიან ერთმანეთს. საერთო სიხარული. ცეკვა./

კატა – /მეფეს/ თქვენო უმაღლესობავ, ჩვენ კიდევ ერთი წესი გაგვანნია, ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალი მიდიან საქორწინო მოგზაურობაში საზღვარგარეთ.

მეფე – თანახმა ვარ. ახლა უკვე არაფერი მაქვს სანადვლო. იმ მაწანწალას ხომ ჩამოვაშორე. არა და სიზმარში ვნახე ჩემი ქალიშვილი ისევე, იმ მაწანწალას გადაეყარა. მათ ქორწილშიც მადიანად ვქეიფობდი. შემდეგ თითქოს პრინცესა და ტრუბადური თავისი შინაური ცხოველებით სამუდამოდ გაეცალნენ მეფის სასახლეს. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ჯამბაზი – ბედნიერებას მეფეო! ... ბედნიერებას.

/ყველა მონაწლე ხელს ჩაჰკიდებენ ერთმანეთს და მიდიან ავანსცენისკენ და მღერიან „სავზაო სიმღერას“

**ფინალი**